„ვამტკიცებ“
საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
გენერალური მდივანი ს. გვეტაძე
“22“ 08 2024 წ.

საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში
შოთა ინწკირველის მემორიალი
8, 10, 12, 14, 16 და 18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის
9 - 12 სექტემბერი 2024 წ. ქ. ქუთაისი, თაბუკაშვილის ქ. 20

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. ორგანიზატორები:
საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი “ქუთაისი”.

2. ღონისძიების მართვა:
განსაკუთრებულ/გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ დებულებით, ტურნირის დირექტორს ფედერაციის პრეზიდენტთან შეთანხმებით აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი სახის შესწორება დებულებაში.

3. ჩატარების ვადები და ადგილი:
09.09-12.09. 2024 წ. ქ. ქუთაისი, მაია ჩიბურდანიძის სახელობის ჭადრაკის სკოლა, თაბუკაშვილის ქ. 20.

4. მონაწილენი:
4.1. ტურნირებში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრებს:
- 8 წლამდე - 2016 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 10 წლამდე - 2014 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 12 წლამდე - 2012 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 14 წლამდე - 2010 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 16 წლამდე - 2008 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;
- 18 წლამდე - 2006 წლის 1 იანვრის შემდეგ დაბადებულ ჭაბუკებს და გოგონებს;

4.2. ყველა მონაწილეს უნდა ქონდეს გადახდილი 2024 წლის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლიური საწევრო შესატანი **(დანართი 1)** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბანკო ანგარიშზე (სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE30BG0000000584705115**). ასევე, შევსებული ელექტრონული ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA

5. სისტემა და კვალიფიკაცია:
- ტურნირი სწრაფ ჭადრაკში ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- ტურნირი ელვისებურ ჭადრაკში ტარდება ფიდეს წესებით, შვეიცარიული სისტემით 9 ტურად.
- დაითვლება ფიდეს რეიტინგი სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში.

6. დროის კონტროლი:
სწრაფ ჭადრაკში - ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 15 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 3 წამის დამატებით.
ელვისებურ ჭადრაკში - ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 3 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 2 წამის დამატებით.

7. რეგისტრაცია და საწევრო შესატანი:
7.1. მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა:

სწრაფ ჭადრაკში - https://forms.gle/Pg2KVqtjxuBMcJWu9

ელვისებურ ჭადრაკში - https://forms.gle/4XzBxx8Vy7q3Y5if6

ამავე ფორმაში უნდა ატვირთონ: 1) დაბადების მოწმობის ასლი; 2) ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ქუთაისი" საბანკო ანგარიშზე ტურნირის საწევრო შესატანის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი;

რეგისტრაციის ბოლო ვადაა:

სწრაფ ჭადრაკში - 2024 წლის 7 სექტემბრის 18:00 სათი.

ელვისებურ ჭადრაკში - 2024 წლის 8 სექტემბრის 18:00 სათი.

ალექსანდრე არსენიძე: ელ-ფოსტა - a.arsenidze1973@gmail.com მობ: 599 92-96-87

7.2. თითოეული მონაწილის ტურნირის საწევრო შესატანია - 25 ლარი სწრაფ ჭადრაკში, 20 ლარი ელვისებურ ჭადრაკში.

7.3. სოციალურად დაუცველები და მრავალშვილიანები განთავისუფლებულნი არიან საწევრო შესატანიდან, იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრაციის დასრულებამდე (7 სექტემბრის 18:00 საათამდე) წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტებს.

7.4. დაგვიანებული რეგისტრაციის შემთხვევაში საწევრო შესატანია სწრაფ ჭადრაკში 50 ლარი, ელვისებურ ჭადრაკში 40 ლარი.

7.5. რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ქუთაისი". საბანკო რეკვიზიტები:

სს "საქართველოს ბანკი" საბანკო ანგარიში: **GE63BG0000000576120700.** ბანკის კოდი BAGAGE22

8. თაი- ბრეიქი:

ორი ან რამოდენიმე მონაწილის მიერ თანაბარი რაოდენობის ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ურთიერთშორის შეხვედრა;
2. ბუჰგოლცი-1 (1 უდაბლესის გამოკლებით);
3. ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი);
4. შავებით ნათამაშები პარტიების მეტი რაოდენობა;
5. მოგებების მეტი რაოდენობით.

9. ტურნირის განრიგი:

სწრაფ ჭადრაკში:

ტური	რიცხვი	8, 12 და 16 წლამდე	10, 14 და 18 წლამდე
ჩამოსვლის დღე	9 სექტემბერი		
I ტურის კენჭისყრა	9 სექტემბერი	20:00	20:00
გახსნა	10 სექტემბერი	09:45	14:45
I ტური	10 სექტემბერი	10:00	15:00
II ტური	10 სექტემბერი	11:00	16:00
III ტური	10 სექტემბერი	12:00	17:00
IVტური	10 სექტემბერი	13:00	18:00
Vტური	11 სექტემბერი	10:00	15:00
VI ტური	11 სექტემბერი	11:00	16:00
VII ტური	11 სექტემბერი	12:00	17:00
VIII ტური	11 სექტემბერი	13:00	18:00
IX ტური	11 სექტემბერი	14:00	19:00
დახურვა	12 სექტემბერი	20:00	20:00

ელვისებურ ჭადრაკში:

ტური	რიცხვი	8, 12 და 16 წლამდე	10, 14 და 18 წლამდე
I ტურის კენჭისყრა	11 სექტემბერი	20:00	20:00
გახსნა	12 სექტემბერი	09:45	14:45
I ტური	12 სექტემბერი	10:00	15:00
II ტური	12 სექტემბერი	10:30	15:30
III ტური	12 სექტემბერი	11:00	16:00
IVტური	12 სექტემბერი	11:30	16:30
Vტური	12 სექტემბერი	12:00	17:00
VI ტური	12 სექტემბერი	12:30	17:30
VII ტური	12 სექტემბერი	13:00	18:00
VIII ტური	12 სექტემბერი	13:30	18:30
IX ტური	12 სექტემბერი	14:00	19:00
დახურვა	12 სექტემბერი	20:00	20:00

10. გამარჯვებულები:

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით და დიპლომებით .
- II-III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით.

11. საერთო წესები:

- ნებისმიერ მონაწილეს შესაბამისი პარტიის დასრულებიდან 5 წუთის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ქუთაისი" საბანკო ანგარიშზე გადაიხადოს 100 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

12. სამართლიანი თამაშის წესების დაცვა:

სამართლიანი თამაშის წესების დაცვა განსაზღვრულია დებულების დანართით.

13. სასტუმრო:

"ოქროს საწმისი" მის: თაბუკაშვილის ქ. 4. საკონტაქტო ტელ: 579 10–93–48.

ორადგილიანი ნომერი – 50ლ.; სამადგილიანი ნომერი – 80ლ.

კერძო სექტორი – 1 პერსონა 20–30ლ.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - ალექსანდრე არსენიძე

ორგანიზატორთა საკონტაქტო ტელეფონი - 599 92–96–87.

დანართი 1

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საბაზისო საწევრო

	ასაკი	თანხა
წლიური საწევრო ბავშვებისთვის	8 წლამდე (2017 და შემდეგ წლებში დაბადებულნი)	20
წლიური საწევრო ახალგაზრდებისთვის	8 - 18 წლის (2017 წლის 1 იანვრამდე დაბადებულნი)	30
წლიური საწევრო სტანდარტული	19 - 59 წლის (1965 - 2005 წლებში დაბადებულნი)	40
წლიური საწევრო სენიორებისთვის	60 და უფროსი ასაკის (1964 წლის 1 იანვრამდე დაბადებულნი)	20
წლიური საწევრო შშმ პირთათვის	-	0
წლიური საწევრო სოციალურად დაუცველი პირთათვის	-	0
წლიური საწევრო არარეზიდენტი პირებისთვის	19 წლამდე	100
წლიური საწევრო არარეზიდენტი პირებისთვის	19 წლის და უფროსი ასაკის	300
წლიური საწევრო რეგიონული ფედერაციებისთვის		50
წლიური საწევრო სხვადასხვა იურიდიული პირებისთვის		200

1. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრმა და გაწევრიანების მსურველმა 18 წლამდე ასაკის პირებმა უნდა შეავსონ ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა - https://forms.gle/vJGBfSvyoMGPpAgDA და ატვირთონ შესაბამისი დოკუმენტები (პასპორტის, პირადობის ან დაბადების მოწმობის ასლი, წლიური საწევრო თანხის გადახდის ქვითარი).

2. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრმა და გაწევრიანების მსურველმა 19 წლის და უფროსი ასაკის პირებმა უნდა გამოაგზავნონ წლიური საწევრო თანხის გადახდის ქვითარი ელ-ფოსტაზე n.alavidze64@gmail.com

3. თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის შემდეგ საბანკო ანგარიშზე -
სს საქართველოს ბანკი **GE30BG0000000584705115**
დანიშნულებაში უნდა მიეთითოს ფედერაციაში გაწევრიანების მსურველი პირის სახელი და გვარი. იურიდიული პირის შემთხვევაში კი ორგანიზაციის სრული დასახელება.

საბანკო საკომისიო მომსახურეობის თანხას იხდის გადამხდელი პირი.

შენიშვნა: ნებისმიერი ბანკის სერვისცენტრიდან თანხის გადახდისას საკომისიო არის მაღალი!

დებულების დანართი 2
სამართლიანი თამაშის წესების დაცვაზე

ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას სამართლიანი თამაშის როგორც დაწერილი, ასევე დაუწერელი წესები. სამართლიანი თამაშის წესები უპირველესად მოითხოვს პატივისცემას მოწინააღმდეგის, სხვა მოჭადრაკეების, მსაჯების და გულშემატკივრების მიმართ.

წესების დაცვისთვის გატარდება შემდეგი ღონისძიებები:

1. ორგანიზატორის მიერ მკაცრად განისაზღვრება ზონები მონაწილეებისთვის (სათამაშო ზონა) და თანმხლები პირებისთვის. პარტიის დასრულებისთანავე ნებისმიერი მონაწილე ვალდებულია დატოვოს "სათამაშო ზონა".

2. პარტიის მსვლელობის დროს მონაწილეებს ეკრძალებათ "სათამაშო ზონიდან" გასვლა, კონტაქტი სხვა მონაწილეებთან, გარეშე პირებთან. მსგავსი შემთხვევის დაფიქსირებისას მთავარი მსაჯი უფლებამოსილია რეალური სიტუაციის სიმძიმიდან გამომდინარე მონაწილის მიმართ გამოიყენოს შემდეგი საჯარიმო პუნქტები : სიტყვიერი შენიშვნა, წაგების მისჯა, ტურნირიდან მოხსნა.
შემდგომი სასჯელის განსასაზღვრავად მისი საკითხი გადაეცემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის შესაბამის კომისიას.

3. მონაწილეებს ეკრძალებათ ტელეფონის, საათის და სხვა ელექტრო ან რაიმე მეტალის შემცველი ნივთის შეტანა "სათამაშო ზონაში".

4. ყოველი ტურის დაწყებამდე მთავარი მსაჯი დაათვალიერებს "სათამაშო ზონას" და უზრუნველყოფს ზონის ნებისმიერ აკრძალული ნივთისგან განთავისუფლებას.

5. "სათამაშო ზონაში" შესვლამდე ყველა მოჭადრაკე ვალდებულია დაეთანხმოს შემოწმების მოთხოვნას, მათ შორის ხელის ელექტრო დეტექტორის საშუალებით.

6. ტურის მსვლელობის ნებისმიერ დროს ან პარტიის დასრულების შემდეგ მთავარი მსაჯი უფლებამოსილია დამატებით შეამოწმოს, მათ შორის ელექტრო დეტექტორით ნებისმიერი მონაწილე, რომელიც ვალდებულია მაშინათვე შეასრულოს მთავარი მსაჯის მოთხოვნა.

7. საეჭვო პარტიები პროგრამულად შემოწმდება.

8. მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ან თამაშის მსვლელობისას, "სათამაშო ზონის" დატოვებამდე ნებისმიერი აკრძალული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, მონაწილეს ჩაეთვლება კონკრეტულ პარტიაში წაგება და მოიხსნება ტურნირიდან. შემდგომი სასჯელის განსასაზღვრავად მისი საკითხი გადაეცემა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის და ფიდეს შესაბამის კომისიებს.

9. ორგანიზატორი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ნივთების უსაფრთხო შენახვა.